



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ბედიის ტაძარი

ბედიის ტაძარი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ოჩამჩირის მუნიციპ. სოფ. აგუბედიაში (აფხაზეთი).

კონცხისებრი თხემი, რ-ზედაც სამონასტრო კომპლექსის მთავარი ნაგებობა – ბ. ტ-ია აღმართული, სამი მხრიდან შემოზღუდულია შვეული კლდეებით, მისასვლელი აქვს მეოთხე მხარეს – დას. მხრიდან.

გადარჩენილი ორნამენტული ფრაგმენტების მიხედვით ტაძარი თავდაპირველად X–XI სს. მიჯნაზეა აგებული. განახლებული ნაგებობა XIII–XIV სს. მიეკუთვნება. ბაგრატის ტაძრისაგან განსხვავებით, რ-ითაც დასრულდა VIII–X სს. ხუროთმოძღვრულ ძიებათა ეპოქა, ბ. ტ. წარმოადგენს ძვ. ქართ. საკულტო ნაგებობათა იმ ტიპის უადრეს ნიმუშებს, რ-იც XI–XIII სს-ში გაბატონდა და უფრო დახვეწილი ფორმით შემდგომ საუკუნეებში განაგრძო არსებობა.

ტაძრის თავისებურებას წარმოადგენს მისი გეგმა, რ-იც აღმ-იდან დას-კენ გრძივ ღერძზე ძლიერ წაგრძელებულია, ხოლო გვერდის ნაგები იმდენად ვიწროა, რომ შიგნიდან გუმბათოვანი დარბაზის შთაბეჭდილება იქმნება. გუმბათი ორ ბურჯსა და საკურთხევლის კედლების კუთხეებს ეყრდნობა. შესასვლელი სამია – სამხრ-იდან, ჩრდ-იდან და დას-იდან. ფასადები შემოსილია სუფთად გათლილი ქვით, შიგნით წყობა უხეშია.

როგორც ჩანს, იმთავითვე გათვალისწინებული იყო კედლების მოხატვა. შემორჩენილი მოხატულობის ფრაგმენტები სამ ქრონოლოგიურ ფენას შეიცავს. პირველი, ყველაზე ადრინდ. ფენა X ს. დასასრ. და XI ს. დასაწყისით თარიღდება – ეს არის სამხრეთის

კედლის მოხატულობა, რ-ზედაც გამოსახული არიან ქტიტორი – ბაგრატ III ეკლესიის მოდელით ხელში – და ადგილ. ფეოდალების – დადიანების – გვარის წარმომადგენლები. მეორე ფენა XIII-XIV სს., ტაძრის განახლების დროინდელია. ყველაზე გვიანდ. ფენა XVI-XVII სს-ით თარიღდება.

მონასტრის დას. მხარეს საკმაოდ დიდი სასახლისა და სამრეკლო კარიბჭის (XIV ს.) ნანგრევებია. კომპლექსს გარს ერტყა გალავანი. XIX ს. დასასრ. ტაძარი უკვე მცენარეებით დაფარულ ნანგრევებს წარმოადგენდა. 1952, 1968-71 და 1985 წწ. ძეგლს ჩაუტარდა აღდგენა-გამაგრების სამუშაოები (არქიტექტორები ლ. ხიმშიაშვილი, ი. ვარსიმაშვილი, ვ. საყვარელიძე, მ. ურიდია), რამაც იგი დაღუპვისგან იხსნა.

ბ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლიტ.: ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971; ვ ა რ ს ი მ ა შ ვ ი ლ ი ი., ბედია, «ძეგლის მეგობარი», 1973, № 31 - 32; Ш е р в ა შ ი დ з е Л. А., Средневековая монументальная живопись в Абхазии, Тб., 1980.

---